იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი **2018 წლის 13 სექტემბერი**

ერთის მხრივ, **ს.ს. „კრედო ბანკი“** (ს/კ 205232238) წარმოდგენილი მისი რეგიონალური ოპერაციების მენეჯერის ზვიად შონიას (პ/ნ62001029376) სახით, თანახმად სს“კრედო ბანკის“ გენერალური დირექტორის ზაალ ფირცხელავას მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მოიჯარე“ და მეორეს მხრივ, **შპს“მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბი.აი.ჯი (ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფი)“** (ს/კ 204559156, მისამართი: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.N15) წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თეონა ხოსროშვილის (01024044539) სახით, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მეიჯარე“ შევთანხმდით შემდგეზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ”მეიჯარე” სს”კრედო ბანკს“ მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს დროებით სარგებლობაში 10 (ათი) წლის ვადით მხარეთა შორის შეთანხმებული (ხელმოწერილი) წინამდებარე ხელშეკრულების თანდართული დანართი №1-ისა (სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალი) და დანართი N2-ის (ნახაზები) მიხედვით გარემონტებულ უძრავ ქონებას: I სართულზე არსებულ ფართს 125.38 კვ.მ, II სართულზე არსებულ ფართს 134.62 კვ.მ და სარდაფიდან 90.00 კვ.მ ფართიდან 35.00 კვ.მ ფართს მდებარე: ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N17, საკადასტრო კოდი: 01.19.36.001.073.01.500

2. ანგარიშსწორება

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „მოიჯარე” უხდის „მეიჯარეს” თვეში **8 000 (რვა ათასი) ლარს**, რომელიც მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს. იჯარის თანხის გადახდის ათვლა განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 12 რიცხვამდე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით. ყოველი თვის საიჯარო იჯარის ჩარიცხვა განხორციელდება „მეიჯარის“ შემდეგ ანგარიშის ნომერზე: სს“თიბისი ბანკი“, **GE18TB5662636080100001** გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში „მეიჯარე“ უფლებამოსილია დაარიცხოს პირგასამტეხლო ყოველთვიური საიჯარო ქირის 0,1% პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2.3. „მეიჯარე” ადასტურებს რომ, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად, ზემოაღნიშნულ იჯარის თანხაში შედის დღგ-ც.

2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს 2.1 მუხლში მითითებულ ანაზღაურებაზე იხდის „მეიჯარე“.

2.6. “მეიჯარე“ ვალდებულია, რომ ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს „მოიჯარეს“ წარუდგინოს საგადასახადო დოკუმენტაცია (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

2.7. მხარეები ვთანხმდებით, რომ იჯარის თანხის ოდენობა არ უნდა გადაიხედოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, ხოლო ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამიდან - ხუთ წლამდე პერიოდში იჯარის თანხის გადახედვა მოხდება ლარის 15% იანი ან მეტი დევალვაციის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში იჯარის თანხა გაიზრდება იმის პროპორციულად, რამდენი პროცენტითაც აცდება დევალვაცია 15%-ს. 5 (ხუთი) წლის გასვლის შემდეგ იჯარის თანხის გადახედვა შესაძლებელია მხოლოდ მხარის წერილობითი მოთხოვნით.

2.8. არასრული საანგარიშო თვის შემთხვევაში გადასახდელი იჯარის თანხა დაითვლება საანგარიშო თვის დღეების მიხედვით.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ აღნიშნული ვადის ათვლა განხორციელდება იჯარის ობიექტის მოიჯარისათვის გადაცემის მომენტიდან (მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან), მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 01 დეკემბრისა. იჯარის ვადის ათვლისათვის სავალდებულოა მხარეთა შორის მირება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1. **"მეიჯარე" ვალდებულია:**

4.1.1. გადასცეს „მოიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გარემონტებული „იჯარის ობიექტი" გამართულ მდგომარეობაში, წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-სა და დანართი N2-ის მოთხოვნათა სრული დაცვით არაუგვიანეს 2018 წლის 01 დეკემბრისა.

4.1.2. იჯარის ობიექტის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების ხელმოწერამდე „იჯარის ობიექტში" წყლის, ბუნებრივი აირის, ელ.ენეგიის მიწოდების/მონტაჟის და წყალარინების სისტემის/კანალიზაციის კანომდებლობით გათვალისწინებული წესების დარღვევით მონტაჟის/გაყვანის/მიერთების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამის ორგანოებთან/ორაგნიზაციებთან პრობლემის დროულად მოგვარება.

4.1.3. აუნაზღაუროს მოიჯარეს ის სარემონტე ხარჯები, რაც დაკავშირებულია იჯარის ვადის განმავლობაში „იჯარის ობიექტის" გარეთ განთავსებული კომუნაკაციების ფარული ნაკლის გამოსწორებაზე ასევე იჯარის ობიექტის სახურავის მოწყობა/შეკეთებაზე, რაც ხელს უშლიდა მოიჯარეს იჯარის ობიექტის ნორმალურ გამოყენებაში (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, წყალი/წყალანარინების სისტემა) , რაც გამოწვეული იქნება „მეიჯარის"ბრალეული ქმედებით. მეიჯარის ბრალეულობა დამტკიცებული უნდა იყოს დამოუკიდებელი ექსპერტიზის (ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მიერ. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოიჯარეს.

4.1.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით "მეიჯარე" "მოიჯარეს" აძლევს ექსკლუზიურ უფლებას: მიუთითოს თავისი მდებარეობა და საქმიანობა შესაბამისი ფირნიშებისა თუ სარეკლამო სტენდების/აბრების მეშვეობით როგორც შენობაში, შენობაზე, ისე შენობის ირგვლივ და შენობის წინ (აქ იგულისხმება სარეკლამო აბრების განთავსებაც შენობის სახურავზე და შენობის ნებისმიერ კედელზე); მხოლოდ იჯარის ვადის განმავლობაში.

4.1.4. მეიჯარე აცხადებს, რომ ანიჭებს უფლებამოსილებას მოიჯარეს წარმოაიდგინოს მეიჯარე სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, რათა მიიღოს საიჯარო ფართზე გარე აბრების და რეკლამაების განთავსებისათვის თუ სხვა მცირე სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო თანხმობა ან/და ნებართვა;

4.1.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით იჯარის საგნის მიზნებიდან გამომდინარე „მეიჯარე" უფლებას აძლევს "მოიჯარეს" იჯარის ვადის განმავლობაში განახორციელოს "იჯარის ობიექტის" შიდა/გარე რეკონსტრუქცია საკუთარი შეხედულებისამებრ.

4.1.6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „მეიჯარე" უფლებას აძლევს „მოიჯარეს" მისი ბიზნეს საქმიანობის განხორციელების მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის საგანი (იჯარის ობიექტი) გადასცეს მესამე პირ/ებს ქვეიჯარის უფლებით.

4.1.7. „იჯარის ობიექტის" გასხვისების შემთხვევაში „მეიჯარე" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „მოიჯარეს" იჯარის ობიექტის გასხვისების შესახებ.

4.1.8. გადასცეს "მოიჯარეს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო "იჯარის ობიექტი";

4.1.9. იჯარის ობიექტის "მოიჯარისათვის" გადაცემის მომენტიდან გადასცეს "მოიჯარეს" იჯარის ობიექტზე არსებული საკეტებისა და გასაღებების ყველა ეგზემპლარი;

4.1.10. საკუთარი ხარჯებით შეასრულოს იჯარის ობიექტისა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების ავარიული რემონტი.

4.2. "მეიჯარე" უფლებამოსილია:

4.2.1. მოსთხოვოს "მოიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვა;

4.2.2. მოსთხოვოს "მოიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირის დროულად და სრულად გადახდა.

4.3. **"მოიჯარე" ვალდებულია:**

4.3.1. გადაიხადოს გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის და სხვა მიმდინარე კომუნალური გადასახადები ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

4.3.2. შეინარჩუნოს "იჯარის ობიექტი" გამართულ მდგომარეობაში ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში;

4.3.3. აწარმოოს "იჯარის ობიექტის" მიმდინარე რემონტი საკუთარი ხარჯებით; აღნიშნული მოიცავს „იჯარის ობიექტის" შიგნით განთავსებული კომუნაკაციებს მოწყობა/შეკეთებას (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, წყალი/წყალანარინების სისტემა და ასე შემდეგ).

4.3.4. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს „მეიჯარეს" ქონება გამართულ მდგომარეობაში ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით;
4.3.5. დროულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული იჯარის თანხა;
4.3.6. იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში წარუდგინოს „მეიჯარეს" გეგმა/ესკიზური/ნახაზები, რომლის საფუძველზეც „მეიჯარემ" უნდა განახორციელოს ამ „იჯარის ობიექტში" სარემონტო სამუშაოები.

4.4. "მოიჯარე" უფლებამოსილია:

4.4.1. შეუფერხებლად ისარგებლოს იჯარის ობიექტში არსებული კომუნიკაციებით, მას ასევე, უფლება აქვს გაიყვანოს შეუფერხებლად მისი საქმიანობის ფუნქციონირებისათვის საჭირო და აუცილებელი კომუნიკაციები (კავშირისათვის აუცილებელი ყველა სახის გაყვანილობა);
4.4.2. მოაწყოს და გააფორმოს იჯარის ობიექტი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად;
4.4.3. მიუთითოს თავისი მდებარეობა და საქმიანობა შესაბამისი ფირნიშებისა თუ სარეკლამო სტენდების/აბრების მეშვეობით როგორც შენობაში, შენობაზე, ისე შენობის ირგვლივ და შენობის წინ;
4.4.4. მოსთხოვოს "მეიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

5. ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა

5.1.წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ წერილობით ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე;
5.2. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ან მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
5.3. "მეიჯარეს" შეუძლია ცალმხრივად ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში, თუ:

5.3.1. "მოიჯარე" არ იხდის იჯარას დათქმული ვადიდან 30 დღის განმავლობაში;
5.3.2. „მოიჯარე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;
5.3.3. „მოიჯარე" განზრახ აუარესებს საიჯარო ფართის მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგება მეიჯარეს;
5.3.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის გასვლის შემდგომ წინასწარ წერილობით შეატყობინებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მოიჯარეს 3 (სამი) თვით ადრე. მეიჯარეს არ აქვს უფლება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში („მეიჯარის" მიერ ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში იჯარის ხელშეკრულების ცალმხრიდან შეწყვეტის შემთხვევაში) „მეიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის ჯარიმა 5 (ხუთი) თვის იჯარის თანხის ოდენობით შეწყვეტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა 5.3.1, 5.3.2. და 5.3.3. მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა .

5.4. მოიჯარეს შეუძლია ცალმხრივად ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

5.4.1. თუ მეიჯარე არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;
5.4.2. თუ მეიჯარის ბრალეული ქმედებით ეზღუდება მოიჯარეს საიჯარო ფართით სარგებლობის უფლება.
5.4.3. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში წინასწარ წერილობით შეატყობინებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მოიჯარეს 30 (ოცდაათი) კალენდარული ადრე და გადაიხადოს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის ჯარიმა 5 (ხუთი) თვის იჯარის თანხის ოდენობით შეწყვეტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში
5.4.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის გასვლის შემდგომ წინასწარ წერილობით შეატყობინებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მოიჯარეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე. შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარე გადაიხდის ჯარიმას იმ დღეების პროპორციული საიჯარო ქირის ოდენობით, რამდენი დღითაც იქნება დარღვეული შეტყობინების ვალდებულება.

5.5. ორივე მხარეს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ "იჯარის ობიექტი" გამოუსადეგარი გახდა ექსპლუატაციისათვის;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. სადაო საკითხების სასამართლო განხილვის შემთხვევაში სასამართლო ხარჯები დაეკისრება წაგებულ მხარეს.

7. ფორს – მაჟორი

7.1. ამ ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ნებისმიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა არ მიიჩნევა ხელშეკრულების დარღვევად, თუ ამგვარი შეუსრულებლობა პირდაპირი შედეგია ფორს-მაჟორული გარემოებისა, რომელიც აღნიშნულ მხარეს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა სრული ძალისხმევის მიუხედავად. ეს განსაკუთრებული გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი შემთხვევებით: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურებები, აგრეთვე ომი, სამხედრო ღონისძიებები, გაფიცვა, აჯანყება, სახელმწიფო საკანონმდებლო აქტი ან მოქმედება. ამ მუხლიდან გაუთვალისწინებელ ფორს მაჟორულ გარემოებებთან დაკავშირებით მხარეები გამოიყენებენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესებს.

7.2. მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას თავისუფლდება ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებებისაგან, მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რაზეც გავლენა იქონია ფორს-მაჟორულმა გარემოებამ.

7.3. მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორულ გარემოების დადგომას უფლებამოსილია მიენიჭოს მიზანშეწონილი გახანგრძლივებული ვადა ამგვარი გარემოებებით შეფერხებული ან დაგვიანებული ვალდებულების შესასრულებლად.

8. დავათა გადაჭრა

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მეშვეობით. მხარემ, რომელიც გადაწყვეტს დავის გადაჭრას სასამართლოს მეშვეობით, უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამ გადაწყვეტილების შესახებ არა ნაკლებ 30 (ოცდაათი) დღისა სასამართლოში სასარჩელო განცხადების (განცხადების) შეტანამდე. მხარეები განაგრძობენ დავის გადაჭრის მცდელობას არაფორმალურად ამ 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში.

9. ზოგადი პირობები

9.1. „მოიჯარე“ „იჯარის ობიექტს” გამოიყენებს სერვის ცენტრად (ოფისად).

9.2. ამ ხელშეკრულების ხელმომწერნი “მეიჯარისა” და “მოიჯარის” სახელით წარმოადგენენ და ამტკიცებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ეს ხელშეკრულება და დაუქვემდებარონ მხარეები აქ მოცემულ ვალდებულებებს.

9.3. სასამართლო ორგანოების მიერ ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის უკანონოდ, ძალადაკარგულად ან შეუსრულებლად ცნობამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ამ ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის კანონებზე, უფლებამოსილება-ზე ან შესრულებაზე.

9.4. ამ ხელშეკრულების შესწორებებს ძალა არ აქვთ თუ ისინი არ არიან წარმოდგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ გაუქმებულია მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა შეთანხმება.

9.6. ხელშეკრულება დგება სამ ეგზემპლარად, ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგიტრაციის მიზნით, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს.

მოიჯარის სახელით

ხელმოწერა

თარიღი

მეიჯარის სახელით

ხელმოწერა

თარიღი

დანართი №1.

"იჯარის ობიექტში" მდებარე: ქალაქი თბილისი, 17 მინდისელი გმირის ქუჩა N17, სართული I 125.38 კვ.მ, სართული II 134.62 კვ.მ, სარდაფი 90.00 კვ.მ დან 35.00 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.19.36.001.073.01.500, სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოების განხორციელების შესახებ

შპს"მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბ.ა.ი.ჯი (ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფი)" (ს/კ 204559156) შემდგომში მოხსენიებული როგორც „მეიჯარე", ს.ს. "კრედო ბანკთან" 2018 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯით "მოიჯარის" მოთხოვნების მიხედვით და დანართი N2 -ის შესაბამისად და მასთან შეთანხმებით 2018 წლის 24 ნოემრის ჩათვლით განახორციელოს იჯარის საგნის რეკონსტრუქცია და რემონტი, კერძოდ:

1. არაუგვიანეს 2018 წლის 24 ნოემბერს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბაროს „მოიჯარეს" იჯარის ობიექტი კანონმდებლობის ნორმათა სრული დაცვით, მხარეთა შეთანხმებული ესკიზური ნახაზების/გეგმარების/დიზაინის შესაბამისად გარემონტებული წინამადებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი ფართი.

2. „მოიჯარესთან" შეთანხმებული პირობების შესაბამისად შიდა გეგმარების/ნახაზების მიხედვით და მის საფუძველზე განახორციელოს ოთახების შიდა ტიხრების განლაგება და მათი მოწყობა.

3.

მე-2 სართულის კიბის მოედნის ბეტონის ფილის ჩამოსხმა - 15კვ.მ.
ანტრესოლის და კიბის უჯრედის დამხმა სალაროს ზემოთ, სადაც მოეწყობა რჩეული ოფიცრისა და მმართველის ოთახი, ასევე დამხმარე სათავსო - 39 კვ.მ.
თაბაშირ მუყაოს ტიხრების მონტაჟი მმართველის, საკრედიტო ოფიცრებისა და დამხმარე სათავსოს ოთახებში თბოიზოლაციით - 149 კვ.მ.
გარე ფასადის მეტალოპლასტმასის ვიტრაჟის დემონტაჟი - 102 კვ.მ.
გარე ფასადის ალუმინის ახალი ვიტრაჟის მონტაჟი - 102 კვ.მ
ელექტროობის მონტაჟი როზეტები და ჩამრთველები წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე ნახაზის მიხედვით 134 ერთეული- ნახაზი თან ერთვის
კერამოგრანიტის იატაკის დაგება წებოცემენტით წინასწარ რენდერში მოცემული ნიმუშის მიხედვით - 116 კვ.მ.
კიბის მოპირკეთება კერამოგრანიტით 15 კვ.მ.
ანტრესოლის ვიტრაჟის მონტაჟი შავი ფერის 21 კვ.მ.
სამღებრო სამუშაოების წარმოება მთლიან ფართში 650 კვ.მ.-წინასწარ რენდერში მოცემული ფერის მიხედვით
კიბის მოაჯირის მოწყობა 17 მ.
ხის ლამინირებული იატაკის დაგება პრლინტუსებით 148 კვ.მ.
განათების ლამპიონების შეძენა და მონტაჟი ზომით 60x60 4 ერთეული
თეთრი ლამინირებული კარების შეძენა-მონტაჟი 5 ერთეული

4. „მოიჯარესთან" წინასწარი შეთანხმებით აწარმოოს „იჯარის ობიექტის" შიდა და გარე რემონტი და სხვა სამუშაოები წარდგენილი ესკიზური ნახაზების/გეგმარების/დიზაინის შესაბამისად, რომელიც უნდა დასრულდეს 2018 წლის 24 ნოემბრამდე.

მოიჯარის სახელით

ხელმოწერა: ----

თარიღი: 13 სექტემბერი 2018 წ

მეიჯარის სახელით

ხელმოწერა: ----------

თარიღი : 13 სექტემბერი 2018